საგზაო უსაფრთხოების თემაზე ფილმების კონკურსის რეგულაცია

ა. კონკურსის მიზანი

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობა და სიკვდილიანობის მაჩვენებელი საქართველოში საგანგაშოდ მაღალია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის „გლობალური სტატუსის ანგარიშების“ თანახმად, საქართველოში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად გარდაცვალება ნაადრევი სიკვდილის გამომწვევ მიზეზებს შორის მე-6 ადგილზეა ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის და პირველ ადგილზეა 5-29 წლის ბავშვებისა და მოზარდების ასაკობრივ კატეგორიაში. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები ზემოქმედებს დაზარალებული ადამიანების და მათი ოჯახის წევრების სიცოცხლეზე, გეგმებსა თუ ოცნებებზე. რატომ ხდება ასე? მძღოლების ისეთი აგრესიული და დაუდევარი ქცევების გამო, როგორიცაა ავტომობილის მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის ან/და არაფხიზელ მდგომარეობაში, სიჩქარის გადაჭარბება, მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა მანქანის მართვის დროს, დასახლებულ პუნქტებში დრიფტი და ა.შ.ყოველივე ზემოხსენებულის გარდა, აღნიშნული სიტუაცია მნიშვნელოვან ეკონომიკურ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რადგან სახელმწიფოსთვის საგზაოსატრანსპორტო შემთხვევებით გამოწვეული წლიური საშუალო ზარალი მშპ-ს 3%-ზე მეტს შეადგენს. აღნიშნული მოკლე ფილმების კონკურსის მიზანია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებით გამოწვეული სოციალური შედეგების შესახებ.

ბ. ზოგადი დებულებები

1. კონკურსის რეგულაცია განსაზღვრავს კონკურსში მონაწილეობის წესებს.
2. კონკურის ორგანიზატორია პოლონეთის ფონდებისა და რეგიონული პოლიტიკის სამინისტრო (შემდგომში „ორგანიზატორი“), რომელიც მდებარეობს ვარშავაში, მისამართზე: ვსპოლნას ქუჩა 2/4 00-926.
3. კონკურსი სრულად ფინანსდება ევროკავშირის მიერ დაძმობილების პროექტის „საგზაო უსაფრთხოების ერთიანი მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბების და საგზაო უსაფრთხოების მართვის შემდგომი გაუმჯობესების მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში. პროექტის ბენეფიციარები არიან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი.

4. კონკურსი ტარდება „რადიო თავისუფლებასთან“ თანამშრომლობით ,..... ვებგვერდზე 2023 წლის ....-დან 2023 წლის .... 11:59-მდე.

გ. საპრიზო ფონდი

1. კონკურსში პრიზები (შემდგომში „პრიზები“) არის ფინანსური სახის:
   1) პირველი ადგილისთვის შეადგენს: 4,000 ევროს
   2) მეორე ადგილისთვის შეადგენს: 2,000 ევროს
2. გამარჯვებულებმა, რომელთაც გადაეცემათ პრიზები უნდა წარმოადგინონ რეზიდენტობის ცნობა, რომელიც გაცემული იქნება შემოსავლების სამსახურის მიერ კონკურსში გამარჯვების შემდეგ 30 დღის ვადაში. სერტიფიკატის წარდგენით კონკურსში გამარჯვებული ადასტურებს, რომ ის არის გადასახადების გადამხდელი საქართველოში და თავისუფლდება გადასახადის გადახდისაგან პოლონეთში, 2021 წლის 7 ივლისს პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და შემოსავლებსა და კაპიტალზე და ქონებაზე გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ გაფორმებული შეთანხმების თანახმად.
3. თუ გამარჯვებული ვერ წარმოადგენს რეზიდენტობის ცნობას, მოგებული საპრიზო ფონდიდან დაექვითება პრიზებისთვის დადგენილი საშემოსავლო გადასახადი ორგანიზატორის მიერ, 1991 წლის 26 ივლისის პირადი საშემოსავლო გადასახადების შესახებ აქტის შესაბამისად (2022 წლის კანონთა კრებული, პუნქტი 2647, შესწორებული).
4. გამარჯვებულებს შეარჩევს ამ მიზნით დანიშნული ჟიური.
5. პრიზები გაცემული იქნება ორგანიზატორის მიერ რეგულაციის წესებისა და პირობების მიხედვით.
6. პრიზები გადაირიცხება საბანკო გადარიცხვით გამარჯვებულთა ანგარიშებზე გამარჯვებულების გამოვლენიდან არაუგვიანეს 40 დღის ვადაში. ორგანიზატორი დაუკავშირდება გამარჯვებულებს, რათა დადგინდეს პრიზის გადახდასთან დაკავშირებული დეტალები.
7. პრიზის გაცემასთან დაკავშირებული ბანკის ნებისმიერი საკომისიო გადასახადი დაეკისრება ორგანიზატორს; თუმცა, ორგანიზატორი არ იქნება პასუხისმგებელი გამარჯვებულის მიერ მითითებული ბანკის დაწესებულ დამატებით მოსაკრებლების გადახდაზე.
8. პრიზზე უფლება არ გადაეცემა მესამე პირს.

დ. კონკურსის მონაწილეები

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ 18 წელზე უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტ პირებს, პროფესიონალ თუ მოყვარულ რეჟისორებს.

2. ჟიურის ოჯახის წევრები არ არიან უფლებამოსილნი მონაწილეობა მიიღონ კონკურსში.
3. კონკურსში მონაწილეობის უფლება არ აქვთ პირებს, რომლებიც ირიცხებიან 765/2006 და 269/2014 რეგულაციებით გათვალისწინებულ სიებში ან პოლონეთის რესპუბლიკის მიერ წარმოებულ სიებში 2022 წლის 13 აპრილის ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტების შესახებ აქტის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, პატენტის გაცემის განაცხადის შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული უკრაინის მიმართ აგრესიის მხარდაჭერა და დაცულ იქნეს სახელმწიფო უსაფრთხოება (2023 წლის კანონთა კრებული, პუნქტი 129, შესწორებული). კუთვნილი პრიზის მისაღებად, კონკურსის მონაწილე ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი განცხადება ზემოაღნიშნულთან მიმართებით ორგანიზატორის მიერ დადგენილი და მონაწილისთვის მიწოდებული შაბლონის გამოყენებით.

ე. კონკურსში მონაწილეობის პირობები

1. მონაწილეებმა უნდა წარმოადგინონ დოკუმენტური, მხატვრული, ანიმაციური ან ჰიბრიდული ჟანრის ფილმი საქართველოში საგზაო უსაფრთხოების თემაზე.
2. ფილმი უნდა იყოს ან ქართულ ენაზე ინგლისური სუბტიტრით, ან ინგლისურ ენაზე ქართული სუბტიტრით.
3. ფილმის ხანგრძლივობა უნდა იყოს 5 წუთი. დასაშვები მაქსიმალური ხანგრძლივობა უნდა იყოს 5 წუთი, მინიმალური ხანგრძლივობა უნდა იყოს 1 წუთი.
4. ფილმი არ უნდა იყოს გამოქვეყნებული არცერთ პლატფორმაზე.
5. ავტორი უნდა ფლობდეს სრულ საავტორო უფლებებს ფილმზე და ფილმში გამოყენებულ ყველა მასალაზე.
6. ავტორმა უნდა წარმოადგინოს მსახიობების თანხმობა ფილმში მონაწილეობაზე.
7. ავტორი უნდა ფლობდეს ფილმში გამოყენებული მუსიკის საავტორო უფლებებს.
8. ფილმის ფორმატი უნდა იყოს: მინიმუმ HD - 1920x1080, mp4.
9. მონაწილეები უნდა დაეთანხმონ კონკურსის რეგულაციებს.

3. ფილმების რეგისტრაცია, წარდგენა და ბოლო ვადა

1. მონაწილეებმა უნდა შეავსონ განაცხადის ფორმა შემდეგ ბმულზე...

2. ფილმი უნდა აიტვირთოს Youtube-ზე ან Vimeo-ზე (Unlisted დახურული ფორმით). დარეგისტრირებისას ფილმის დახურული ბმული უნდა მიეთითოს სააპლიკაციო ფორმის მითითებულ ველში.
3. ვიდეოს წარდგენის ბოლო ვადაა 2023 წლის 22 მაისი.

ზ. კონკურსის მონაწილის დეკლარაციები კონკურსზე ნამუშევრის წარდგენით მონაწილე აცხადებს, რომ ის 1. ეთანხმება წინამდებარე რეგულაციებს.
2. თანხმდება, რომ მისი ფოტო გადაღებულ იქნეს კონკურსის გამარჯვებულების გამოცხადების ცერემონიის დროს და გავრცელდეს კონკურსის განხორციელებასთან და მისი შედეგების პოპულარიზაციასთან დაკავშირებული მიზნებისთვის.

თ. საავტორო უფლებები

1. კონკურსის მონაწილე, საკონკურსო ნამუშევრის წარდგენასთან დაკავშირებით, აცხადებს, რომ:

ა) ფლობს სრულ საავტორო უფლებებს კონკურსში წარდგენილ ნამუშევარზე და რომ წარმოდგენილი ნამუშევარი არ არღვევს მესამე მხარის უფლებებს, მათ შორის არ იყენებს სხვა პირების სურათებს ან ნამუშევრებს კანონით მოთხოვნილი თანხმობის გარეშე;

ბ) თანხმდება, რომ ორგანიზატორს შეუძლია გამოიყენოს წარმოდგენილი საკონკურსო ნამუშევარი, რამდენადაც ეს აუცილებელია წარდგენილი ნამუშევრის შესამოწმებლად და შესაფასებლად, და რომ ორგანიზატორს შეუძლია გამოაქვეყნოს წარმოდგენილი ნამუშევარი რადიო თავისუფლების ვებ გვერდსა და სოციალური მედიის არხებზე, ვებგვერდებსა და სოციალური პროფილებზე, რომლებიც იმართება ორგანიზატორის მიერ. ზემოაღნიშნულზე თანხმობისთვის ანაზღაურება არ არის გათვალისწინებული.

2. კონკურსის მონაწილეები თანხმდებიან, რომ რადიო თავისუფლების ვებ-გვერდზე, ეგრეთ წოდებული მოკლე სიის ფარგლებში მათი ნამუშევრების გამოქვეყნების თარიღისთვის, ორგანიზატორი და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მოიპოვებენ მათ ნამუშევრებზე არაექსკლუზიურ ლიცენზიას, არაკომერციული მიზნებისთვის, შემდგომი ლიცენზიების გაცემის უფლებით, უფასოდ და განუსაზღვრელი ვადით, ტერიტორიის, ასლების რაოდენობისა და მედიის შეზღუდვის გარეშე, შემდეგი გამოყენებისთვის:

ა) ჩაწერა - კერძოდ ბეჭდვით, კომპიუტერის მეხსიერებაში და ელექტრონულ მედიაში ჩაწერა და ამ გზით შექმნილი ასლების ნებისმიერი ტექნიკით გამრავლება;

ბ) ნებისმიერი გზით გავრცელება და გამოქვეყნება (მათ შორის: ჩვენების ან საჯარო შესრულების ან კომპიუტერულ მეხსიერებასა და მულტიმედია ქსელებში, მათ შორის ინტერნეტში ატვირთვის გზით) - მთლიანად ან ნაწილობრივ, აგრეთვე სხვა ნაწარმოებებთან ერთად;

გ) წვდომის მიცემა, კერძოდ, შეხვედრებზე, ღონისძიებებზე, კონფერენციებზე წარდგენის გზით;

დ) მარკეტინგი (როგორც ორიგინალი, ასევე იმ ნამუშევრებისა და მატარებლების ასლები, რომლებზედაც დაფიქსირდა ნამუშევრები), ნამუშევრების ან მატარებლების დროებით გაცემა (მთლიანად ან ნაწილობრივ), რომლებზეც ჩაწერილი იყო ნამუშევრები.

3. წარმოდგენილი ნამუშევრები შეიძლება გადამოწმდეს ორგანიზატორის მიერ ზემოთმოცემულ 1(ა) პუნქტთან, მათ შორის საავტორო უფლებებთან, შესაბამისობაზე. ეჭვების წარმოშობის შემთხვევაში ორგანიზატორი უფლებამოსილია მოსთხოვოს ნამუშევრის წარმდგენ პირს შესაბამისი ინფორმაციის ან მტკიცებულების მიწოდება.

4. კონკურსის წესების პოტენციური დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, მესამე მხარის ნამუშევრების გამოყენების ჩათვლით, ნამუშევარი დისკვალიფიცირებული იქნება. კერძოდ, ორგანიზატორი ამოიღებს ნამუშევარს კონკურსიდან თუ:

ა) გამოვლინდება ნებისმიერი უხეში მსგავსება სხვა ნამუშევართან, მათ შორის კონკურსზე წარდგენილ ან ინტერნეტში ხელმისაწვდომ ნამუშევრებთან (პლაგიატი),

ბ) ნამუშევრების შინაარსი არღვევს ზნეობრივ ნორმებს, ზიანს აყენებს სხვის რეპუტაციას, შეურაცხყოფს მათ გრძნობებს, მათ შორის რელიგიურ შეხედულებებს და ა.შ.

გ) წარმოდგენილი არ არის მე-3 პუნქტში მითითებული ინფორმაცია ან მტკიცებულება.

ი. ნამუშევრების შეფასება

1. ნამუშევრებს შეაფასებს ჟიური შემდეგ კრიტერიუმების გათვალისწინებით:
   ა) ფილმის იდეა/ამბავი
   ბ) კონკურსის თემატიკა / თემასთან შესაბამისობა
   გ) ვიზუალური მიდგომა და ფორმა
   დ) ტექნიკური ხარისხი (ხმა და გამოსახულება)

2. კონკურსის პირველ ეტაპზე ჟიური შეარჩევს საუკეთესო ვიდეოებს, ე.წ მოკლე სიას, რომელიც კონკურსის მეორე ეტაპისთვის კვალიფიცირდება და გამოქვეყნდება რადიო თავისუფლების ვებგვერდზე და სოციალურ მედიაში.
3. შერჩეული ვიდეოებიდან, ჟიური შეარჩევს მეორე ეტაპის ორ გამარჯვებულს.
4. თუ ვიდეო აიტვირთება სხვა პლატფორმაზე კონკურსის დასრულებამდე, მისი განხილვა აღარ მოხდება ჟიურის მიერ.
5. კინოჩვენებაზე და გამარჯვებული ფილმების დაჯილდოების ცერემონიაზე მიწვეული იქნება ყველა მონაწილე, სადაც გამოვლინდებიან კონკურსის გამარჯვებულები.

კ. ჟიურის წევრები:

- ნინო ორჯონიკიძე - დოკუმენტალისტი;
- ქეთი მაჭავარიანი - კინორეჟისორი;
- რატი ონელი - კინორეჟისორი;
- ბლაზეი გრჟეჩნიკი - კინორეჟისორი;
- ეკა ლალიაშვილი - გზების უსაფრთხოების ექსპერტი
- საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის წარმომადგენელი

ლ. პერსონალური ინფორმაცია

კონკურსის ორგანიზების და ჩატარების, ასევე მიღებული პრიზების ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული მონაცემების კონტროლს ხორციელებს პოლონეთის რესპუბლიკის ფონდებისა და რეგიონული პოლიტიკის მინისტრი. თქვენს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტში „შეტყობინება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ“.

მ. დასკვნითი დებულებები

1. კონკურსის ორგანიზატორი არ დაუშვებს კონკურსის შედეგებთან დაკავშირებით აპელაციის წარდგენას. საკონკურსო ნამუშევრების შერჩევის პროცედურა სრულდება, როდესაც ჟიური გამოავლენს გამარჯვებულებს.
2. ორგანიზატორი იტოვებს უფლებას შეცვალოს კონკურსის წესები.
3. ორგანიზატორი იტოვებს უფლებას გააუქმოს ან შეწყვიტოს კონკურსი, ნებისმიერ დროს, იმ მიზეზების გამო, რაც ცდება ორგანიზატორის კონტროლის სფეროს.

რეგულაციის დანართი: „შეტყობინება პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვწერეთ შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: iamakharashvili@yahoo.com

ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ

კონკურსის მონაწილეებისა და კონკურის ჟიურის წევრებისთვის

დაძმობილების პროექტის ფარგლებში

საქართველოში საგზაო უსაფრთხოების შესახებ ფილმების კონკურსში მონაწილეობასთან დაკავშირებით

"[ია მახარაშვილი]", – შემდგომში "კონტრაქტორი" აფორმებს ხელშეკრულებას[1] (შემდგომში - „ხელშეკრულება") განვითარების ფონდების და რეგიონული პოლიტიკის სამინისტროსთან საქართველოში საგზაო უსაფრთხოების თემაზე ფილმების კონკურსის სრულფასოვნად ჩატარებასა და ორგანიზებასთან დაკავშირებით, რომელიც ფინანსდება

[1] განვითარების ფონდების და რეგიონული პოლიტიკის სამინისტროსა და ია მახარაშვილს შორის გაფორმებული ხელშეკრულება DPT/TWG/BDG/VII, 26.01.2023.

ევროკომისიის მიერ დაძმობილების პროექტის (No. GE 18 ENI TR 03 21 , შემდგომში „პროექტი) არასაბიუჯეტო სახსრებიდან.

ხელშეკრულების დაფინანსებასთან დაკავშირებით დამუშავებული პერსონალური მონაცემების კონტროლს ახორციელებს განვითარების ფონდების და რეგიონული პოლიტიკის სამინისტრო (შემდგომში, მოხსენებული როგორც „მაკონტროლებელი ორგანო“ ან „მინისტრი“) მაკონტროლებელმა ორგანომ ხელშეკრულების გაფორმების მიზნით კონტრაქტორს დაავალა პერსონალური მონაცემების დამუშავება.

იმავდროულად, ხელშეკრულების შესრულების მიზნით, კონტრაქტორმა] შეიძლება საჭიროდ ჩათვალოს თქვენი სხვა პერსონალური მონაცემების შეგროვება, მათ შორის ისეთი მონაცემების, რომლებიც დაკავშირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან. ასეთ შემთხვევაში და იმ მოცულობით, [კონტრაქტორი იქნება ცალკე მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე.

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზანი მონაცემთა დამუშავების

მიზანს წარმოადგენს პროექტის განხორციელება.

I. პერსონალური მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძველი

მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველია მინისტრის მიერ დაკისრებული სამართლებრივი ვალდებულებების შესრულება („ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის[2] მუხლი 6(1)(გ) ქვეპუნქტი) და

ა) კომისიის 2007 წლის 9 აგვისტოს No 951/2007 რეგულაცია, რომელიც ადგენს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის პროგრამების განხორციელების წესებს, რომელთა დაფინანსება ხორციელდება ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 24 ოქტომბრის №1638/2006 რეგულაციის მიხედვით, რომელიც ადგენს ზოგად წესებს ევროპული სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის ჩამოყალიბების შესახებ[3];

ბ) დაძმობილების კონტრაქტი No. ENI/2021/430-035 ევროკავშირსა, რომელიც წარმოდგენილია ევროკომისიის მიერ, და განვითარების ფონდების და რეგიონული

პოლიტიკის სამინისტროს შორის დაძმობილების პროექტის No. GE 18 ENI TR 03 21 „საგზაო უსაფრთხოების ერთიანი მონაცემთა ბაზის ჩამოყალიბების და საგზაო უსაფრთხოების მართვის შემდგომი გაუმჯობესების მხარდაჭერა საქართველოში“ შესახებ.

II. მონაცემთა შენახვის პერიოდი პერსონალური მონაცემები ინახება პროექტის განმავლობაში.

ზემოაღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, პერსონალური მონაცემები შეინახება არქივში 1983 წლის 14 ივლისის კანონის დებულებების შესაბამისად, ეროვნული საარქივო რესურსებისა და არქივების შესახებ[4].

III. დამუშავებულ მონაცემთა ტიპები სახელი და გვარი, მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, სურათი, პასპორტის ნომერი და სერია.

IV. მონაცემთა უზრუნველყოფის ვალდებულება

[2] ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ, რომელიც აუქმებს 95/46/EC დირექტივას (2016 წლის 27 აპრილის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია)(OJ L No. 119, 04.05.2016, გვ. 1). [3] OJ L No. 210, 10.8. 2007, გვ. 10.
[4] 2020 წლის კანონთა კრებული, პუნქტი 164.

პერსონალური მონაცემების მიწოდება ნებაყოფლობითია, თუმცა აუცილებელია კონკურსში მონაწილეობისთვის.

V. მონაცემთა წარმოშობის წყარო მინისტრმა უნდა მიიღოს მონაცემები ია მახარაშვილისგან, რომელიც არის კონტრაქტორი.

VI. მონაცემებზე წვდომა პერსონალურ მონაცემებზე წვდომა აქვთ განვითარების ფონდებისა და რეგიონული პოლიტიკის სამინისტროს თანამშრომლებს. ამასთან, პერსონალური მონაცემები შეიძლება გადაეცეს ან გაუზიარდეს:

ა) შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ადმინისტრაციულ ორგანოებს, მათ შორის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, და ევროკავშირის სახელისუფლებლო ორგანოებს;

ბ) ხელშეკრულებების კონტრაქტორებს, მათ შორის, მინისტრისთვის მომსახურების მიმწოდებელ პირებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ICT სისტემების ექსპლუატაციას, განვითარებას და კავშირს, კერძოდ, IT გადაწყვეტილებების პროვაიდერებს და სატელეკომუნიკაციო ოპერატორებს, აგრეთვე ექსპერტებს, სუბიექტებს, რომლებიც ახორციელებენ აუდიტს, ინსპექტირებას, ტრენინგი, მხარდაჭერას და შეფასებებს;

გ) ადმინისტრაციულ ორგანოებს (კანონის დებულებების შესაბამისად), პოლონეთის სტატისტიკის და სოციალური დაზღვევის ინსტიტუტის ჩათვლით.

შენიშვნა: საქართველოსთან მიმართებით ევროკომისიას არ გამოუცია გადაწყვეტილებები, რომლებიც ადასტურებს პერსონალური მონაცემების დაცვის ადეკვატურ დონეს. პერსონალური მონაცემების ასეთი გადაცემა ევროკავშირის ფარგლებს გარეთ დაკავშირებულია თქვენი პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული უფლებების განხორციელების შეუძლებლობის რისკთან (ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის მე-12 და მე-15-22-ე მუხლები), კერძოდ, კი ასეთი ინფორმაციის უკანონო გამოყენების ან გამჟღავნებისგან თავის დასაცავად. გარდა ამისა, არსებობს რისკი იმისა, რომ ქვეყანა არ უზრუნველყოფს დამუშავებული პერსონალური მონაცემების დაცვისა ადეკვატურ დონეს.

VII. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

ა) პერსონალურ მონაცემებზე წვდომისა და შესწორებების შეტანის უფლება ამ უფლების განხორციელებისას თქვენ უფლება გაქვთ სთხოვოთ მინისტრს, სხვათა შორის, ამუშავებს თუ არა მინისტრი თქვენს პერსონალურ მონაცემებს, რა პერსონალური მონაცემები მუშავდება და სად არის მიღებული მონაცემები, ასევე რა არის დამუშავების მიზანი, მისი კანონიერი საფუძველზე და რამდენ ხანს დამუშავდება მონაცემები.

იმ შემთხვევაში, თუ დამუშავებული მონაცემები მოძველებულია, შეგიძლიათ მინისტრს მოსთხოვოთ მონაცემების განახლება;

ბ) დამუშავების შეზღუდვის მოთხოვნის უფლება - ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის მე-18 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვა ნიშნავს, რომ მინისტრს შეუძლია მხოლოდ პირადი მონაცემების შენახვა. მინისტრს არ შეუძლია ასეთი მონაცემები გადასცეს სხვა სუბიექტებს, შეცვალოს ან წაშალოს ისინი.

პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვა დროებითია და გრძელდება მანამ, სანამ მინისტრი არ შეაფასებს არის თუ არა პერსონალური მონაცემები ზუსტი, კანონიერად დამუშავებული და დამუშავების მიზნებისთვის საჭირო;

გ) პერსონალური მონაცემების წაშლის მოთხოვნის უფლება - ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის მე-17 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

პერსონალური მონაცემების წაშლის მოთხოვნა ხორციელდება, სხვათა შორის, როდესაც მინისტრის მიზნის შესასრულებლად აღარ არის საჭირო მონაცემების შემდგომი დამუშავება ან პერსონალური მონაცემები უკანონოდ დამუშავდა;

დ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის პრეზიდენტთან საჩივრის შეტანის უფლება.

ა-გ პუნქტებში აღნიშნული უფლებების განხორციელების მოთხოვნა უნდა გაიგზავნოს X ნაწილში მითითებულ მისამართებზე. კორესპონდენციას დაემატოს შემდეგი ანოტაცია: „პერსონალური მონაცემების დაცვა - დაძმობილების პროექტი საქართველოსთან“.

VIII. ინფორმაცია ავტომატური გადაწყვეტილების მიღების**,** მათ შორის პროფილების შექმნის შესახებ პერსონალური მონაცემები არ ექვემდებარება ავტომატიზებულ გადაწყვეტილებებს, მათ შორის პროფილების შექმნას.

IX. დაუკავშირდით მონაცემთა დაცვის ზედამხედველს მონაცემთა დამუშავების საშუალება**:**

[ია მახარაშვილი – კონტრაქტორი], ელექტრონული ფოსტა: iamakhar@gmail.com

მაკონტროლებელი ორგანო**:**

განვითარების ფონდებისა და რეგიონული პოლიტიკის მინისტრი, პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით, განვითარების ფონდებისა და რეგიონული პოლიტიკის სამინისტროში, მისამართზე: ვარშავა, ვსპოლნას ქუჩა 2/4 00-926.

მონაცემთა დაცვის ზედამხედველთან დაკავშირება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ვარშავა, ვსპოლნას ქუჩა 2/4 00-926.

ელექტრონული ფოსტა: IOD@mfipr.gov.pl.